

ვიქტორია ჯულელი
ენების ცენტრის მასწავლებელი
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

სოფრონიოს იერუსალიმელის ჰომილიები და მათი ქართული თარგმანები¹

თეზისები: ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწის, მონოთელიტიზმის მგზნებარე მოწინააღმდეგის, სოფრონიოს იერუსალიმის ეპისკოპოსის (560-638 წწ.) ჰომილიათა რიცხვი თორმეტს აღწევს. მათგან ქართულ ენაზე ცნობილი იყო ათი ქართული თარგმანი, მათ შორის, ოთხი ტექსტი, რომელთა ბერძნული დედანიც დაკარგულია. როგორც აღმოჩნდა, ქართულ თარგმანთა რაოდენობა აღმატება ამ რიცხვს. ხოლო ვინაიდან ქართულ ენაზე სოფრონიოსის ჰომილიებისა და მათი ქართული თარგმანების კომპლექსური კვლევა არ გამოქვეყნებულა, ჩვენი მოხსენებით შევეცდებით ქართულ თარგმანთა რაოდენობის დაზუსტებას და სამი შეუსწავლელი თარგმანის, შესხმად აიაზმისამ, შესხმად ოთხისა მახარებლისა და სიტყუად ხარჯისათვს II, დედანთა დადგენას.

საკვანძო სიტყვები: წმ. სოფრონიოს იერუსალიმელი, ჰომილიები, ქართული თარგმანები

Abstract: Saint Sophronius, Patriarch of Jerusalem (560-638), one of the most prominent theologians, ardent opponent to monothelitism, is an author of twelve homilies. Scholars indicate the ten Georgian translations of his homiletic writings, including four renditions with missing Greek originals. The later researches demonstrated that Georgian translations of Sophronius' homilies exceed this number. The article attempts to define anew the total number of Georgian renditions and to research three of them that were not yet studied:

1. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წლის ფუნდამენტური გრანტის ფარგლებში FR-18-1209 და სრული სახით გამოქვეყნდება გრანტის დასრულებისას.

Praise of the Agiasmos (Holy water), Praise of the Four Evangelists and On Annunciation II.

Keywords: St. Sophronius of Jerusalem, homilies, Georgian translations

სოფრონიოს იერუსალიმელი (560-638 წწ.), ზოგი ცნობით – ბერძენი, ზოგით კი – სირიელი (*Sophrone de Jérusalem* 8), სოფისტი, პოეტი და რიტორიკის მასწავლებელი, ბერი და ღვთისმეტყველი, ცნობილია, როგორც ეკლესიის დიდი მოღვაწე, მონოთელიტიზმის მგზნებარე მოწინააღმდეგე და მრავალი ისეთი ნაშრომის ავტორი, რომლებმაც საუკუნეთა შემდეგაც შეინარჩუნეს საკუთარი მნიშვნელობა. განსაკუთრებით ეს ეხება მის ჰომილიებს, რომელთა რიცხვი თორმეტს აღწევს (*Clavis Patrum Graecorum* 422-431). ჰომილიათა ქართული თარგმანების ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ჩამონათვალი ეკუთვნის გრიგოლ ფერაძეს და კორნელი კეკელიძეს. ისინი ასახელებენ სოფრონიოსის ქადაგებათა ათ თარგმანს, მათ შორის, ოთხ ქართულ თარგმანს, რომელთა ბერძნული დედნებიც დაკარგულია. იგივე რაოდენობა არის აღნუსხული უკანასკნელი ხანის გამოკვლევებშიც. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ქართულ თარგმანთა რაოდენობა აღემატება ამ რიცხვს. ხოლო ვინაიდან ქართულ ენაზე სოფრონიოსის ჰომილიებისა და მათი ქართული თარგმანების კომპლექსური კვლევა არ გამოქვეყნებულა, ჩვენს სტატიაში შევეცდებით ქართულ თარგმანთა რაოდენობის დაზუსტებას და შეუსწავლელ მათგანთა დედნების დადგენას.

სოფრონიოს იერუსალიმელის ჰომილიათა ყველაზე ძველ ფუნდამენტურ გამოცემას წარმოადგენს *Patrologia Graeca*-ს სერია, რომლის 87/3 ტომში გამოქვეყნებულია 10 ჰომილია (სვ. 3201-3364, 4001-4004), ამასთან 7 ბერძნულად, დანარჩენი 3 (I, III და VI) კი მხოლოდ ლათინური თარგმანით. ათივე ჰომილია სოფრონიოსის ავთენტურ ნაშრომთა შორის არის აღნუსხული:

Oratio I. ქრისტეს შობისათვის (სვ. 3201-3212, არასრული ტექსტით; CPGr 7637; ბერძნული ტექსტისთვის იხ. Usener, *Weihnachtspredigt* 501-516).

II. ხარებისათვის ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა (სვ. 3217-3288; CPGr 7638);

III. მიგებებისათვის უფლისა (სვ. 3287-3302; CPGr 7641; ბერძნული ტექსტისთვის იხ. Usener, *Sophronii* 8-18).

IV. ჯვართამაღლებისა და წმინდა აღდვომისათვის (სვ. 3301-3310; CPGr 7639);

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

V. პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯერის თაყვანისცემისათვის (სვ. 3309-3316; CPGr 7658);

VI. შესხმა წმინდა მთავარანგელოზებისა და ანგელოზებისა (სვ. 3315-3322; CPGr 7671; ბერძნული ტექსტისთვის იხ. Combefis, *Graecolatinorum Patrum 1565B-1580B*).

VII. შესხმა იოანე ნათლისმეტელისა (სვ. 3321-3354; CPGr 7642);

VIII. წმ. პეტრესა და პავლეს, ნეტარ მოციქულთათვის (სვ. 3355-3364; CPGr 7640);

IX. შესხმა იოანე ღვთისმეტყველისა და მახარებლისა (სვ. 3363-3364, 2 ფრაგმენტი; CPGr 7648);

X. ობზულება (Poi,hma, სვ. 4001-4004) ან ლოცვა (CPGr 7653). იხ. ასევე, *Mhnai/a 138-139*.

ამ ჰომილიებს 1898 წელს დაემატა ერთი ქადაგება:

XI. წმინდა ნათლისღებისათვის (Papado,pouloj-Kerameu,j 151-168)².

სოფრონიოსს მიეკუთვნება კიდევ ერთი ჰომილია, რომლის ავთენტურობაც სადაცოა:

XII. შესხმა გრიგოლ ღვთისმეტყველისა (CPGr 7659). ჰომილია ბერძნულ ენაზე შემორჩენილია მოკლე ფრაგმენტის სახით (inc. avlIV o` ei-j kai. o` auvto.j ui`o.j kai. Cristo.j kaqV u`po,stasin), რომელიც დაცულია ოხრიდის ფლორილეგიუმში (Florilegium Ochridense): Cod. Ochrid. Mus. Nat. 86 (catal. 84) (VII/XIII სს.)³, გვ. 167 (Mošin 234-235, N84). ფრაგმენტი რამდენჯერმე გამოქვეყნდა, მათ შორის, ქართულენოვან გამოკვლევებშიც (Richard, *Quelques nouveaux fragments* 76; Richard, *Opera minora* 132; Schönborn 111-112; მარგიანი, სოფრონ იერუსალიმელის 134; მისივე, გრიგოლ ნაზიანზელის 93-94).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია სოფრონიოსის ჰომილიათა სხვადასხვა რაოდენობა. ასევე, სხვადასხვა ქადაგებებია დასახელებული ავთენტურ და ნაყალბევ ნაშრომთა რიცხვში. *Clavis Patrum Graecorum*-ის (CPGr) გამომცემლები სოფრონიოსის ავთენტურ ნაშრომთა შორის ასახელებენ 9 (I-IV, VII-XI), სადაცოთა (“Dubia”) შორის 2 (V, XII), ხოლო ნაყალბევთა (“Spuria”) შორის – ერთ ქადაგებას (VI), რომელიც მიქაელ სვინკელოსის ამავე სათაურის მქონე ობზულების მეორე ნაწილს წარმოადგენს (Schönborn 115). დასახელებულთა გარდა,

2. PG-სა და პაპადოპულოს-კერამევსის გამოცემებში დასტურდება არაერთი შეცდომა, რის გამოც თ. ნისენმა ცალკე გამოსცა მათში გამოქვეყნებული შვიდი ჰომილის (I-IV, VII, VIII, XI) სწორი იკითხვისები (Nissen, *Sophronios-Studien* 89-115).

3. ფრაგმენტის შემცველი ფლორილეგიუმი თარიღდება VII ს-ით (Richard, Hemmerdinger 252-255).

სადავო ქადაგებებს შორის აღნუსხულია ოთხი ქართული თარგმანიც (CPGr 7660-7663), რომელთაც ბერძნული დედნები არ ეძებნებათ. 1991 წელს, ანტონინო გალიკომ გამოაქვეყნა სოფრონიოსის I-IV, VII-IX და XI ჰომილიათა იტალიური თარგმანი თანდართული გამოკვლევით, სადაც შენიშვნავს, რომ თარგმნის მხოლოდ ავთენტურ ჰომილიებს (Sofronio di Gerusalemme 34).

სოფრონიოსის ხუთი (I-IV, XI) ქადაგების კრიტიკული რედაქცია ვრცელი გამოკვლევით გამოქვეყნდა თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში იანის დ. ტაუსანისის მიერ დაცულ სადოქტორო დისერტაციაში (Taousa,nhj, 2009). მკვლევარი ავთენტურ თხზულებათა შორის აღნუსხავს I-IV, VII, IX, XI ქადაგებებს, სადავო ნაშრომთა შორის – V, VIII, XII და ოთხ ქართულ უდედნო თარგმანს, ნაყალბევად მიიჩნევს VI ჰომილიას (Taousa,nhj XVII-XIX, 20, 24), ხოლო X ჰომილიას არსად ასახელებს.

ამდენად, მთლიანობაში, სოფრონიოსის 12 ჰომილიიდან რვა ქადაგება ითვლება ავთენტურად (I-IV, VII-IX, XI), 3 – სადავოდ (V, X, XII), 1 კი ნაყალბევად (VI). სოფრონიოსის ჰომილიების უმეტესობა (I-IV, VII, VIII, XI) თარიღდება სოფრონიოსის პატრიარქობის, V ჰომილია კი ასალგაბრდობის ხანით (Schönborn 103-104, 106, 111, 115).

სოფრონიოსის ჰომილიების ქართულ თარგმანთა ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ჩამონათვალი ეკუთვნის გრიგოლ ფერაძეს (Peradze 190-191), რომელიც ასახელებს სოფრონიოსის ათი ქადაგების (III, II, VII, IX, XI, XII, მათ შორის, ოთხ უდედნო, NN 6b, 7a, 7b, 9) ქართულ თარგმანს. მასზე დაყრდნობით ეს თარგმანები აღნუსხულია CPGr-სა და კორნელი კეკელიძის ეტიუდებში (110-111). სოფრონიოსის ოთხი ჰომილიის ქართულ თარგმანს ასახელებს მიხეილ თარხნიშვილი (II, III, XII და სიტყუად ზეცად ამაღლებისათვს უფლისა) (Tarchnišvili 194-195). სოფრონიოსის ჰომილიათა ათი ქართული თარგმანის ჩამონათვალი და XII ქადაგების კვლევა გახვდება თამარ მარგიანის დისერტაციასა (82-84) და სტატიაში (132-133). მეცნიერი მიუთითებს იმასაც, რომ ამ ათი ქადაგებიდან ხუთი ავთენტურია, ხოლო ხუთი, კერძოდ XII ჰომილია და ოთხი უდედნო ქართული თარგმანი, სადავო (მარგანი, გრიგოლ ნაზიანზელი 84). ეს ათი ქადაგებაა:

II. სიტყუად ხარებისათვს ყოვლადწმიდისა უხრწელისა უდოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა.

III. სიტყუად მიგებებისათვს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა.

VII. სიტყუად სადღესასწაულო შობისა წმ. წინამორბედისა და ნათლისმცემელისა.

IX. შესხმად წმიდისა იოანე ღმრთისმეტყველისად.

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

XI. თქუმული ნათლისლებისათვს მაცხოვრისა და ზედა-აღდგომისათვს სარკინობთავსა⁴.

XII. სიტყუად შესხმისად წმიდისათვს და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა.

მათ შორის, ოთხი ქადაგების ქართული თარგმანი, რომელთა ბერძნული დედნებიც დაკარგულია:

XIII. სიტყუად წმიდისათვს ნათლისლებისა მაცხოვრისა ჩუენისა.

XIV. შესხმად წმიდისა სტეფანე პირველმოწამისად და პირველდიაკონისად.

XV. სიტყუად წმიდისა პირველდიაკონისა და პირველმოწამისა სტეფანესთვს.

XVI. სიტყუად ზეცად ამაღლებისათვს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესს.

სოფრონიოსის ქადაგებათა ქართული თარგმანების დაზუსტებული ჩამონათვალი წარმოდგენილია ენრიკო გაბიძაშვილის გამოცემაში: ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. ტ. III: „პომილეტიკა“. თბილისი, საქართველოს მაცნე, 2009, აგრეთვე ნინო მელიქიშვილისა და მანანა მაისურაძის ნაშრომში: ქართული ნათარგმნი და ორიგინალური პომილეტიკური ლიტერატურა. თბილისი, 2012, 476-477. ენრიკო გაბიძაშვილის გამოცემაში აღნუსხულია სოფრონიოსის ქადაგებათა 13 ქართული თარგმანი, ხოლო მელიქიშვილი-მაისურაძის გამოცემაში – 12 (X ქადაგების გამოკლებით). ამდენად, ზემოდასახელებულ ქართველ მეცნიერთა გამოცემებში აღნუსხულ 10 ქადაგებას შეემატა სამი ჰომილია: შესხმად აიაზმისად⁵, შესხმად ოთხისა მახარებლისა და სიტყუად ხარებისათვს II (Oratio II-საგან განსხვავებული ტექსტი).

სოფრონიოსის პომილეტიკური ნაშრომების ძველი ქართული თარგმანები პირველად XXI ს-ში გამოიცა და დღეისათვის დაბეჭდილია ოთხი მათგანი. პირველად, 2006 წელს გამოქვეყნდა გრიგოლ

4. XI ქადაგების სათაურის ბერძნულ ტექსტში მონაკვეთის „და ზედა-აღდგომისათვს სარკინობთავსა“ შესატყვისი არ დასტურდება. მსგავსი შინაარსის სიტყვები წარმოდგენილია I ჰომილის სათაურში: Eivj ta. qei/a tou/swth/roj gene,qlia evn a'gi,a] kuriakh/] katanth,santa kai. eivj th.n tw/n Sarakhnw/n avtaxi,an kai. fqartikh.n evpana,stasin. რაიმე კავშირი ამ ორ ჰომილის შორის ქართულში არ შეინიშნება, თუმცა, შესაძლოა, სწორედ ამგვარი სათაურის გამო ჩათვალეს ქართველმა მთარგმნელებმა, რომ I ქადაგება უკვე იყო ქართულად გადმოღებული და აღარ თარგმნეს იგი.

5. შესხმად აიაზმისად (inc. „სამებაო ერთარსებაო, სახიერო, ღმრთებაო, ყოვლადძლიერო, ყოველთა წინამძღვარო“) წარმოადგენს სოფრონიოსის X ჰომილის თარგმანს. მისი ბერძნული ტექსტი გამოცემულია PG 87/3-ში (სვ. 4001-4004, inc. Tri,aj

ღმრთისმეტყუელის შესხმის (Oratio XII) ეფრემ მცირისეული (Peradze 191, n. 8; კეპელიძე, ეტიუდები 111; მეტრეველი 115-125; გაბიძაშვილი 126-127 (N278); მელიქშვილი, 476, N1) თარგმანი თამარ მარგიანის დისერტაციაში (274-305), სათაურით სიტყუად შესხმისად წმიდისათვს და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა, ორ ხელნაწერზე დაყდნობით: S 1276 (XI-XIII სს.), 107r-115v; Jer. 13 (XIII-XIV სს.), 249v-277v. ჰომილიის ბერძნულ ენაზე მოღწეული ფრაგმენტი თ. მარგიანმა შეუსატყვისა ქართული თარგმანის თთ. 74-75. ამ ფრაგმენტის ბერძნულ-ქართულ პარალელურ ტექსტებს იგი იძლევა დისერტაციის კვლევით ნაწილშიც („ხოლო კაცობრივ რად იქმნ კაცობრივთა – რომელი-იგი არა ორ არს გუამოვნებითა“, 94, 289-290), და თავის სტატიაშიც („ხოლო კაცობრივ რად იქმნ კაცობრივთა – განუყოფელად საღმრთოთაცა შინა და კაცობრივთაცა“, 134). თ. მარგიანს ბერძნული ტექსტის შესაბამისი მონაკვეთი ქართულ თარგმანში ზუსტად აქვს მიკვლეული, თუმცა ამ ნუმერაციით მითითებულ მონაკვეთს დასაწყისში ერთი წინადადება აკლდება. სინამდვილეში, ეს ბერძნული ფრაგმენტი მოცემული ტექსტის თთ. 73-75-ს შესაბამება:

<i>Encomium Gregorii Theologi</i>	სიტყუად შესხმისად გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა
avllV o` ei-j kai. o` auvto.j ui`o.j kai. Cristo.j kaqV u`po,stasin qei,wj te kai. avnqrwpi,nwj(e`kate,ra kata. th.n diafora.n e;dra kai. dua,da tw/n fu,sewn tw/n evx w-n sunete,qeito kai. evn ai-j a;neu troph.j kai. tomh.j evgnwri,zetai)	არამედ გუამოვნებით ერთი და იგივე ძებული და ქრისტე საღმრთოდ და კაცობრივ, ვითარცა ორთავე ბუნებათაგანი განყოფილად აჩუენებდა თითოეულისა ბუნებისა საქმესა ორთა ბუნებათასა, რომელთაგან შეზავებულ იყო და რომელთა შინა თვინიერ ქცეულებისა და განკუეთისა იცნობებოდა (თ. 73).
VAnqrwpi,nwj de. poiw/n o` auvto.j ta. avnqrw,pina ouvk avna,gkh ti,ni kaqV h`ma/j evpoi,ei kai. turanni,di th/j fu,sewj — ou[tw ga.r(drw/men h`mei/j ta. avnqrw,pina — avllV e`kousi,wj boulh/ kai. qelh,mati(w`j e;cwn evn avmfoi/n th.n evxousi,an avmei,wton (ხოლო კაცობრივ რად იქმნ კაცობრივთა იგივე ერთი, არათუ ჩუენებრ იძულებითა რადმე ჰყოფდა და მძლავრებითა ბუნებისადთა, რამეთუ ესრეთ ვჰყოფთ ჩუენ კაცობრივთა, არამედ ნეფსითითა ზრახვითა და ნებებითა, ვითარცა მქონებელი ორთავე პელმწიფებისად შეუმრღვეველად (თ. 74).

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

ouv mh.n avlla. kai. avsu,gcuton kai. avme,riston evn te toi/j qei,oij kai. kata. a;nqrwpon)	არა ხოლო ესე, არამედ შეურევნელადცა და განუყოფელად საღმრთოთაცა შინა და კაცობრივთაცა, [და ორთავე აჩუქნებს საჩინოებით, რომელთაგან შემოკრბა სახეთა შეურევნელთა და რომელთაგან იგი იყო იყო არსებათა შეუშოთობელთა, რადთა ერთად და იგივედ ძედ მიეთხობვოდის და ორთაგან სახეთა იქადაგებოდის, რომელი-იგი არა ორ არს გუამოვნებითა] (თ. 75).
--	---

რამდენიმე წლის შემდეგ, 2014 წელს, გიორგი ბერიშვილმა გამოსცა ორი ჰომილიის ქართული თარგმანი: XI ქადაგების თარგმანი (60-94) და სიტყუად წმიდისათვს ნათლისადებისა მაცხოვრისა ჩუენისა (ქადაგება, რომლის ბერძნული დედანიც დაკარგულია, 26-59), – ეს ტექსტები კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა 2020 წელს (ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები 250-278, 211-249), – 2018 წელს კი გიორგი ჯანჯლავამ გამოაქვეყნა სოფრონიოსის III ჰომილიის ქართული თარგმანი (211-230). სამივე ჰომილიის თარგმანი გამოცემულია თბილისის სასულიერო აკადემიის საეკლესიო-სამეცნიერო კრებულში გრავნილი შესაბამისი წინასიტყვაობებითა და სამეცნიერო აპარატით.

დავუბრუნდეთ სამ თარგმანს, რომლებიც ენრიკო გაბიძაშვილის გამოცემაშ შესხმატა ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებში აღნუსხულ 10 ქადაგებას და რომელთა ბერძნული წყაროებიც არ არის დადგენილი. ესენია: შესხმა აიაზმისათვის, შესხმა თოხისა მახარებლისა და სიტყუად ხარებისათვს II. სამივე მათგანი დაცულია XVII-XIX სს-ის ნუსხებში. მთარგმნელთა ვინაობა უცნობია. u'perou,sie(u'pera,gaqe(u'pe,rqee(pantodu,name(pantepi,skope). იგი, ასევე, დაცულია ვენეციის *Biblioteca Marciana*-ს ხელნაწერში *Marcianus VII, 38* (*Nannianus 154*) (XVI-XVII სს.), გვ. 304-305 (inc. *Doxa,zome,n se*(De,spota fila,nqrwpe pantrokra,twr)⁶ და ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ნუსხაში Österreichische Nationalbibliothek, theol.gr. 267 (XV ს., 31rv)⁷, რომლის დასაწყისიც ემთხვევა ვენეციის ხელნაწერის საწყის სტრიქონს. ტექსტის ლათინური თარგმანის ფრაგმენტი დაცულია პარიზის ხელნაწერში, *Bibliothèque Nationale de France*, lat. 820, 160v-161r (XI ს.), სათაურით *Benedictio*

6. ხელნაწერი ქაღალდზე შესრულებული, შეიცავს 462 ფურცელს, აკლია დასაწყისი (Mingarelli 349, N33).

7. ხელნაწერი ქაღალდზე შესრულებული, შეიცავს 34 ფურცელს (Hunger 229).

aquarum sanctarum Theophaniarum (inc. “Ecce sollemnitatis advenit nobis tempus” = Sh.meron ga.r th/j e`orth/j h`mi/n evpe,sth kairo,j, PG 87/3, სვ. 4001D). ლათინურ ტექსტში უხვად გეხვდება ჩამატებები, რამდენიმე მონაკვეთში კი არეულია წინადადებათა მიმდევრობა.

ჰომილიის ქართული თარგმანი დაცულია ორ ნუსხაში: A 115 (XVIII ს.), 53v-55v (A); A 107 (XVIII ს.), 184r-186v (B) (გაბიძაშვილი 64, N13). ხელნაწერები ერთი რედაქციის ტექსტს იძლევიან და განსხვავება მათ შორის მხოლოდ ორთოგრაფიულია. ტექსტი, ხელნაწერთა გადაწერის ეპოქისათვის დამახასიათებელი იოტაციზმების გამოკლებით, იძლევა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ფორმებს: „აღურაცხელისა“, „ჩჩულად“, „მთოვარე“, „ნათლისასახენი ვარსკულავნი“ (A, 54r), „კელდადებულ-იქმნების“ (A, 54v), „დაჭსნდების“, „შეიმოსს“, „შთასლვითა“ (A, 55r), „ხოლდებოდიან“ (A, 55v), „ღირს-გუყვენ“ (B, 184r), და სხვ., რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ნუსხებში ქადაგების ძველი ქართული თარგმანია გადაწერილი.

მთარგმნელის ვინაობა და სათარგმნი წყაროს ენა ტექსტის შემცველ ხელნაწერებში არ არის მითითებული. ქართული თარგმანი, რამდენიმე მონაკვეთის გამოკლებით, ზედმიწევნით შეესაბამება ბერძნულ ტექსტს და იძენად ახლოს დგას მასთან, რომ ვფიქრობთ, ქართული თარგმანი სწორედ ბერძნულიდან არის გადმოღებული. ქართულ თარგმანში უმეტესწილად დაცულია ბერძნული ტექსტის სიტყვათა რიგი (შდრ. Sh.meron ga.r h` ca,rij tou/ a`gi,ou Pneu,matoj(evn ei;dei peristera/j toi/j u[dasin evpefoi,thse „დღეს მადლი სულისა წმიდისა სახითა ტრედისათა წყალთა შინა დაენერგვს“, სვ. 4001-4004; A, 54r), ზედმიწევნით არის გადმოღებული კომპოზიტებიც (pantodu,name(pantepi,skope „ყოვლადდლიერო, ყოველთა წინამძღვარო“, სვ. 4001; A, 53v; filia,nqrwpe(pantokra,tor „კაცთმოყუარეო, ყოვლისმპყრობელო“, სვ. 4001; A, 54r; oi` fwtoeidei/j avste,rej „ნათლისასახენი ვარსკულავნი“, სვ. 4004; A, 54r).

მიუხედავად იმისა, რომ ჰომილიის ტექსტი ქართულად საკმაოდ კარგად არის ნათარგმნი, რამდენიმე მონაკვეთში უზუსტობებიც შეინიშნება, რისი მიზეზიც დაზიანებული ხელნაწერი ან ბერძნულ წყაროში დაქარაგმებული სიტყვები შეიძლება იყოს:

Sh.meron ga.r th/j e`orth/j h`mi/n evpe,sth kairo.j(kai. coro.j a`gi,wn evkklhsia,zei h`mi/n „დღეს მოიწია უამი დღესასწაულისა ჩუენისა, და კრებად წმიდათა ეკლესიათა ჩუენთა“ (სვ. 4001; A, 54r);
h` e`mfutoj avgaqo,thj „დამნერგველო სახიერებითა“ (სვ. 4001; A, 53v);
ასევე, რედაქციული სხვაობაც:

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

*Poi,hma Swfroni,ou patria,rcou ~Ierosolu,mwn „შესხმა სოფრონ
პატრიაქისა მიერ იშრუსალემელისა“* (სვ. 4001; A, 53v);

dhmiourge. tw/n noerw/n ouvsiw/n „შემოქმედო უხილავისა არსებისაო“ (სვ. 4001; A, 53v);

to. fw/j to. avpro,siton „ნათელო დაუღამებელო“ (სვ. 4001; A, 53v);

*Sh,meron o' a;dutoj h[lioj avne,teile „დღეს უხილავი მზე
აღმობრწყინდების“* (სვ. 4004; A, 54r);

*Sh,meron o' avklinh.j tw/| ivdi,w| oivke,th| u`pokli,netai „დღეს დაუსაბამო
ღმერთი მონასა თავსა მოუდრექს“* (სვ. 4004; A, 55r), და სხვ.

ქართული თარგმანის ერთ-ერთ წინადადებაში შემატებული „კაცთა“ ემთხვევა ლათინურ ტექსტში წარმოდგენილ იყითხვისს „hominum“, რაც, თუმცა კი ლათინური თარგმანი არ არის ზედმიწევნითი, ვფიქრობთ, მეტყველებს იმაზე, რომ ჰომილის ბერძნული ტექსტის ერთ-ერთ რედაქციაში ამ სიტყვას შესატყვისი ექვებოდა:

*Sh,meron ta. tou/ VIorda,nou na,mata eivj iva,mata metapoiei/tai th/|
tou/ Kuri,ou parousia,a, „Hodie Iordanis roratio in curatione hominum
reficitur“;*

„დღეს წყალნი იორდანისანი კაცთა კურნებასა მისცემენ
გამოცხადებითა უფლისათა“ (სვ. 4004; Lat. 820, 160v; A, 54v).

ტექსტის ბოლო მონაკვეთი, სიტყვებიდან „იორდანე უკუნ-იქცა, გიხილეს შენ, უხილავი ნილულად“, სინტაქსურად გაუმართავია და ნაკლებად შეესაბამება PG-ს ბერძნულ ტექსტს (შდრ. „ვინაცა მე ცოდვილსა და ულირსსა მონასა შენსა, დიდ[ებულებ]ისა და საკვრელებისა შენისა მქადაგებელსა, შიშით აღვახუამ ბაგეთა დალადებად შენდამი“ (A, 55v).

(2) შესხმა ოთხი მახარებლისა შედგება ოთხი მოკლე თავისგან, რომლებშიც წარმოდგენილია მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე მახარებელთა ცხოვრებების მოკლე აღწერა. ნაშრომს ბერძნულად ეწოდება ოთხი მახარებლის ცხოვრება (*Bi,oi tw/n tessa,rwn Euvaggelistw/n, inc. Matqai/oj o' kai. Leui.j avpo,stoloj*). PG-ში ეს ოთხი თავი დაბეჭდილია თეოფილაქტე ბულგარელის სახარებათა განმარტებებს შორის, თითოეული სახარების წინ, და ოთხივე მათგანი სოფრონიოსს მიეკუთვნება (PG 123, სვ. 140, 488, 684, 1128-1129). ქართულ ენაზე ტექსტის ოთხივე ნაწილია თარგმნილი, თუმცა ისინი გამოუქვეყნებელია და დაცულია XVII-XIX სს-ის ხელნაწერებში: H 1114, H 1194, H 1321, H 1666, H 1787, K 677, S 2715, Q 896, Q 901, ახალც. 94, ზუგდ. 7. ამ ნუსხებში არსად არის მითითებული, რომელი ენიდან ითარგმნა ეს თავები, არც მათი მთარგმნელია ნახსენები (გაბიძაშვილი 208 (N 635), 218 (N 674), 205 (N 623), 169 (N 461).

როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ხელნაწერთა ტრადიცია ამ თხზულებას სოფრონიოსს მიაკუთვნებს, თუმცა ზოგი მკვლევარი მას სოფრონიოსს ნაყალბევ ნამუშევრად მიიჩნევს, ზოგი კი სადაც თხზულებათა შორის ათავსებს⁸. ამ ოთხი თავის ლათინური თარგმანი მოღწეულია იერონიმე სტრიდონელის სახელით ცნობილ თხზულებაში გამოჩენილ ადამიანთა შესახებ (*De viris illustribus*), სადაც სხვა მოღვაწეთა ცხოვრებებთან ერთად გადმოცემულია მათე (თ. III, PG 23, სვ. 644-645), მარკოზ (თ. VIII, 653AB), ლუკა (თ. VII, სვ. 649-652), და იოანე (თ. IX, სვ. 653B-657A) მახარებელთა ცხოვრებებიც. CPGr-ში ეს ტექსტი სოფრონიოსის შრომათა დანართში არის დაბეჭდილი და მითითებულია, რომ იგი იერონიმეს ნაშრომთა ბერძნულ ვერსიას წარმოადგენს (CPGr 3635).

თხზულების ბერძნული ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: Athen. Byz. Mus. 158 (1401) (XVII ს.), Athous, Dion. 314 (3848) (XVII ს.), Athous, Dion. 321 (Lambros 3855) (1636 წ.), Athous, Iber. 2 (17) (XII ს.), Cambridge University Library, add. 4173 (XVI ს.), Turk. Fond. gr. 1 (1305-1306 წწ.), Parian. Longob. 2 (XIX ს.), S.Sepulcri 190 (XVII ს.), Paris, Bibl. Nat. suppl.gr. 1225 (XI ს.), Zürich, Zentralbibliothek, Ms. C 011 (XII-XIII სს.), ვენა, Österreichische Nationalbibliothek, suppl. gr. 2 (1702 წ.), საბერძნეთი, პაროსი, Mone tes Zoodochou Peges Loggobardas 2 (XIX ს.). ესპანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერილობაში მითითებულია სოფრონიოსის ლუკა მახარებლის ცხოვრების შემცველი კიდევ ერთი ნუსხა, Madrid, Biblioteca Nacional de Espana 4554 (XIII ს.)⁹. მაგრამ ხელნაწერის მითითებული გვერდის სათაურში სოფრონიოსის სახელი არ აღმოჩნდა აღნიშნული, ხოლო განსახილველ თავს (inc. Louka/j(ivatro.j VAntioceu.j(kaqw.j ta. sugggra,mmata auvtou/ dhloj/) მასში დაცული ტექსტი მხოლოდ რამდენიმე საწყისი სიტყვით ჰგავს: Louka/j o' qei/oj(avntioceu/j me.n h=n(ivatro.j de. kai. th.n e;wx sofi,an

8. შონბორნი ნაშრომს არაავთენტურად მიიჩნევს იმ მიზეზით, რომ მისი ნაწილები სვინაქსარის ნაწყვეტებს უფრო ჰგავს, ვიდრე ქადაგებათა ფრაგმენტებს (რაშიც ჩვენც ვეთანხმებით), და დამატებით საბუთად მიუთითებს, რომ ისინი გვაინდელ ხელნაწერში, XVII ს-ის S.Sepulcri 190-ში არის დაცული (Schönborn 111, შენ. 81). ტაუსანისი კი შენიშნავს, რომ შონბორნის არგუმენტები არასაკმარისია და პომილიას სადაც (და არა არაავთენტურ) ტექსტთა შორის აღნუსხავს (Taousa,nhj 20). ფრაგმენტები დასტურდება XI ს-ის ნუსხაშიც Paris, BNF suppl. gr. 1225, ხოლო პომილიის პირველი ნაწილი, შესხმა მათე მახარებლისა, ათონის ივერთა მონასტრის XII ს-ის ხელნაწერში, Athous, Iber. 2, და ორივე ეს ხელნაწერი ტექსტს სოფრონიოსს მიაკუთვნებს.

9. “(f. 164) vita S. Lucae <ex Sophronio> (P.G. 123, 684 A 1-C 7; BHG 991b)” (Andres 32).

polu,j(ouv mh.n avlla. kai. th.n evbraikh.n paidei,an evxhskh,sato(toi/j VIerosolu,moij evpifoith,saj(o` ku,rioj h`mw/n evdi,dasken(w[ste fasi ti,nej. დანარჩენი ტექსტი კი, განსაკუთრებით მასში მოთხოვბილი მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის შეხვედრა კლეოპასთან, სრულიად განსხვავდება განსახილველი ჰომილისგან და წარმოადგენს თეოფილაქტე ბულგარელის ლუკას სახარების განმარტების ფრაგმენტს (PG 123, სვ. 685BC).

ჰომილის კვლევისას ხელთ გვქონდა ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერი, Athous, Iber. 2 (17) (XII ს.), 10v (I)¹⁰. მასში დაცულია მათე მახარებლის შესხმა, რომელიც სათაურთან ერთად (*Bi,oj tou/ a`gi,ou euvaggelistou/ Matqai,ou kata. Swfro,nion*) ათ, გაკრული ხელით ნაწერ, უხვად დაქარაგმებულ სტრიქონს შეადგენს. მასთან ერთად, ასევე, ჯონ მილის (Millius 3, 69, 120, 197-198) (M)¹¹, PG-ს სერიის (PG 123, სვ. 140, 488, 684, 1128-1129) (P), *Qei/on kai. ~Iero.n Euvagge,lion evx avri,stwn evkdo,sewn th/j Nea.j Diaqh,khj* (q, 29, 73, 131) (B)¹², ოსკარ ფონ გებჰარდტის (5, 8-9, 11-12, 6-7) (G) და ჰ. ფონ ზოდენის (308-310, N107) (S) გამოცემები. თუმცა კი, ეს ოთხი თავი არაერთხელ იყო გამოცემული, ტექსტის კრიტიკული რედაქცია დადგენილი არ ყოფილა.

ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერი იმავე რედაქციისაა, რაც PG-ში გამოქვეყნებული ტექსტი, მაგრამ გვხვდება განსხვავებაც, გამოწვეული ხელნაწერის გადამწერის მიზეზით, რომელის ჰაპლოგრაფიული შეცდომის გამო შემდეგ მონაკვეთს რამდენიმე სიტყვა აკლია: *ei;te evk prosw,pou oivkei,ou(ei;te evk prosw,pou tou/ kuri,ou h`mw/n VIhsou/ Cristou/*. ამავე რედაქციას მისდევს *Qei/on kai. ~Iero.n Euvagge,lion* გამოცემის ტექსტი, თუმცა ზოგ მონაკვეთში იგი სრულიად განცალკევებით დგას ყველა დანარჩენი გამოცემისაგან, განსაკუთრებით ეს ეხება იოანეს შესხმის ბოლო მონაკვეთს. სხვა მხრივ, გამოცემათა ტექსტებს შორის სხვაობა, უმრავლეს შემთხვევაში, ორთოგრაფიულია, როგორც მაგალითად, *kataskeuasqei,shj/kataskeuasqei,shj| w-[per/w[sper, dietei,aj/dietiaj, VEbiwnitw/n/VEmbiwnitw/n, suneklekth,/su.n th/| evklekth/|, და სხვ., ხოლო შინაარსობრივი განსხვავებები იშვიათია: sunegra,yato/suneta,xato, die,preyen/die,triyen/die,streyen, o`rw/n/evrw/n (მარკ. შესხმ), apsteti,lamen/appesta,lkamen (ლუკ. შესხმ).*

10. ხელნაწერი შესრულებულია ეტრატზე, შეიცავს IV+264+VI ფურცელს, კატენებიან ოთხთავს (Swthrou,dhj 3-5; Lambros 1, N4122).

11. ამ გამოცემაში ოთხივე შესხმა მიეკუთვნება სოფრონიოსს.

12. სამწუხაროდ, გამოცემაში არ არის მითითებული, რომელ ხელნაწერებს დაეყრდნო გამომცემელი შესხმათა ფრაგმენტებისთვის.

ქართული თარგმანისათვის ჩვენ ხელთ გვქონდა H 1666 ნუსხა (1743 წ.), 2v, 40r, 66v, 114v-115r, ეტრატი, 170 ფ., რომელიც შეიცავს ალექსი მხატვრისძის მიერ გადაწერილ ოთხთავს (145r). თუ არ ჩავთვლით იოტაციზმებს „აწცად, ინებად, სიტყუადთა, რაღოდენიცა“, რომლებიც ხელნაწერის გადაწერის პერიოდს შეესაბამება, ტექსტი ძველი ქართული თარგმანიდან ჩანს გადაწერილი.

ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროსთან შედარებისას აშკარაა მისი ბერძნული წარმომავლობა. იგი მეტნაკლები სიზუსტით მისდევს ბერძნულ ტექსტს და მის სიტყვათა რიგს. ტექსტის რედაქციის თვალსაზრისით, ქართული თარგმანი იმავე რედაქციისა, რომლისაც B, I და P, ხოლო ზოგ მონაკვეთში ის იკითხვისები, რომელთაც ქართული თარგმანი შეესატყვისება, მხოლოდ B-შია წარმოდგენილი (Matqai/oj(o` kai. Leui,(avpo,stoloj (om. B) avpo. telwnw/n „მათე, რომელსა ეწოდა ლევი, მეზუშრე“, მათ. შესხმ); sunepo,myamen(fhsı.(metV auvtou/ to.n avdelfo,n mou (B) (შდრ. VApesti,lamen (avpesta,lkamen MS), fhsı.(su.n auvtw/| to.n avdelfo,n PMS) „წარმომავლინე ძმა ჩემი თქუშნდა“, ლუკ. შესხმ). ალსანიშნავია შემდეგი მონაკვეთიც, სადაც მთარგმნელმა, როგორც ჩანს, სიტყვა Neoroi,a], მიამსგავსა მსგავსი დაწერილობის sunori,a-ს, რომელიც „საზღვარს“ ნიშნავს (VEmoi. de. para. tw/n Nazwrai,wn tw/n evn Beroi,a] (Neoroi,a] B) th/j Suri,aj tou,tw| kechhme,nwn „და მე ეგრე ვპერნებ, ვითარმედ აწცა აქუნდეს იგი ნაზარეველთა მათ ჰურიათა, რომელ არიან საზღვართა სირიისათა“, მათ. შესხმ). არაერთ შემთხვევაში გვხვდება მონაკვეთთა არაზუსტი თარგმანი და მთელი წინადადებების კლება, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, დაზიანებული ბერძნული წყაროდან ტექსტის ამოკითხვის სირთულეა. ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობები, რომლებიც ბერძნულ წყაროსთან მიმართებით დასტურდება ქართულ ტექსტში, არის შემდეგი:

1. to. de. e brai?ko.n a;cri th,mero,n evstin evn th/| biblioqh,kh| Kaisari,aj th/| para. Pamfi,lou Ma,rturoj perispouda,stwj kataskeuasqeish| „ხოლო ებრაული იგი მათეს მიერ აღწერილი არს კესარიას პამფილიისა საუჯვეთა შინა წიგნთასა, მარტიროზის მიერ დაცული“ (მათ. შესხმ). დედანში იკითხება: ებრაული კი დღემდე არის პამფილოს მარტიროს მიერ დიდი გულმოდგნებით შექმნილ კესარიის ბიბლიოთეკაში. აქ საუბარია ღვთისმეტყველისა და მოწამის, პამფილოს კესარიელისა და მის მიერ პალესტინის კესარიის ბიბლიოთეკისთვის გაწეული ღვაწლის შესახებ. როგორც ჩანს, ქართველმა მთარგმნელმა ვერ გაიგო Ma,rturoj-ის მნიშვნელობა და იგი საზოგადო „მარტიროს“ ნაცვლად, საკუთარ სახელ „მარტიროზად“ მიიჩნია. შეცდომა

შეიძლება გამოეწვია ბერძნულ წყაროში არა მთავრული, არამედ ნუსური ასოებით ჩაწერილ საკუთარ სახელებს.

2. kaqa. sunegra,yato Klh,mhj evn tw/| e[ktw/| tw/n ~Upotupw,sewn lo,gw|(kai. Papi,aj ~Ierapoli,thj evpi,skopoj „ვითარცა ჩუენ გუწერს კლიმი იერაპოლის ეპისკოპოსი მეექუსესა სიტყუასა შინა“ (მარკ. შესხმ.). თარგმანში kai. Papi,aj გამოტოვებულია, ხოლო იერაპოლის ეპისკოპოსობა შეცდომით კლიმს მიეწერება.
3. ~H ga.r Peri,odoj Pau,lou kai. Qe,klaj(kai. pa/j o` mu/qoj w`sanei. le,ontoj baptisqe,ntoj(eivj ta.j avpokru,fouj grafa.j yhfisqh,setai) Ouvde. ga.r evnecw,rei to.n avcw,riston tou/ VAposto,lou(metaxu. tw/n loipw/n auvtou/ pra,xewn tou/to hvgnohke,nai „რამეთუ მარადის ვალნ პავლეს თანა თეკლაცა, ვითარცა სხვათა წერილთა შინა ცხად-ჰყოფს. ხოლო ვითარცა პავლეს მიერ ესწავა, ეგრეთვე სხვათა ყოველთა მოციქულთაგან“ (ლუკ. შესხმ.). დედანში იკითხება: ამგვარად, პავლესა და თეკლას მოგზაურობა და მთელი გადმოცემა ლომის მონათვლის შესახებ აპოკრიფულ თხზულებებად უნდა ჩაითვალოს, რადგან შეუძლებელია, მოციქულის განუყრელ თანამგზავრს მის სხვა საქმეებთან ერთად ესეც არ სცოდნოდა. საფიქრებელია, რომ წყაროში ეს მონაკვეთი დაზიანებული ან გაკრული ხელით იყო ნაწერი, ისე, რომ მთარგმნელმა იგი სათანადოდ ვერ ამოიკითხა.

მთლიანობაში, ოთხი მახარებლის შესხმა წარმოადგენს სოფრონიოსის ოთხი მახარებლის ცხოვრების (*Bi,oi tw/n tessa,rwn Euvaggelistw/n*) ქართულ თარგმანს, რომლის ლათინური ვარიანტი დასტურდება იერონიმე სტრიდონელის სახელით ცნობილ თხზულებაში გამოჩენილ ადამიანთა შესახებ. ეს თხზულება, მიუხედავად ქართული სათაურისა, არ წარმოადგენს ჰომილიას, არამედ ჰაგიოგრაფიულ უანრს განეკუთვნება¹³. საკუთრივ ქართული თარგმანი ზოგ მონაკვეთში არაზუსტია, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს როგორც დაზიანებული ან გაკრული ხელით ნაწერი ბერძნული წყარო, ისე მთარგმნელის შეცდომები.

(3) სიტყუად ხარებისათვს II, სრული სათაურით, სიტყუად ხარებისათვს ყოვლადწმიდისა ღმრთისა მშობლისა ქალწულისა მარიამისა (inc. „ჯერ-არს უკუც აწ თქვენდა, ძმანო, მოთხრობად“, დაცულია ერთადერთ ნუსხაში, A 220 (1726 წ.), 522r-524r (გაბიძაშვილი 487, N1807; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 25), რომელიც სადღესასწაულო საკითხავებს შეიცავს. ხელნაწერი გადაუწერია

13. ამ თხზულებას სოფრონიოსის ჰაგიოგრაფიულ ნაშრომთა შორის აღნუსხავს ტაუსანისიც (Taousa,nhj 20).

დომენტი ჯანდიერისშვილს მოსკოვში (656v). ჯანდიერისშვილი წერს, რომ მოსკოვში ყოფნისას რუსული „ენა და კითხვა არა მესმოდა“, რის გამოც მოწყინებამ შეიპყრო, „პელ-ვყავ და მუნ ალგსწერე სადღესასწაულო და თვენი სრული რუსეთის რიგითა და წესითა, ხოლო შემწითა ამათ ბატონიშვილის დარეჯანის კარის დევანოზისა დავითისითა“ (A 220, 656v; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 25, 27). ტექსტი დაუხელოვნებელი ხელით არის გადაწერილი. მასში ხშირია დაუქარაგმებლად შემოკლებული სიტყვები, ორთოგრაფიული თუ სხვა სახის შეცდომები¹⁴, მათ შორის, სამი ჰაპლოგრაფიული შეცდომა.

ჰომილიის თარგმანი ენობრივად XVIII ს-სთან შედარებით ძველი ჩანს. ამის შესახებ მეტყველებს ტექსტის ლექსიკა: „წარკდა ლამე და შემოვეახლა დღე“, „დღეს დაუტევნებული ცათა მხოლოსა ქალწულისასა შეიცვის“ (A 220, 522r), „ხოლო შენ მიერ აღმოეცენებინ უმჯობესი, რამეთუ აპა, მუცლად იღო და შუც ძე“, „სიხარულით მოუწოდს ყოველსა სოფელსა“, „ვისწრაფოთ ღირსად განწიაღებად“ (523r), „აპა ესერა, გვრგვნის მომცემელი წინა-გვდგს და გვრგვნი განუმარტებიეს, განმზადებული [მ]მარხუჭლთათვს“, „საბანელიცა წინა-დგას განბანად მანებებელი ცოდვათა ჩუენთა“, „მივისწრაფდეთ გულსმოდგინედ მას შინა“, „ტრაპეზი განმზადებული ზვარაკისა ჭამებულისა“, „წინაასწარმეტყუელისა მიერცა მიგვწოდს ჩუენ“ (523v) და ა.შ. თარგმანი საინტერესოა დოგმატური ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც: „განკუორციელდების ორკუცი ბუნებითა“ (522r).

ჰომილიის ავტორი ხელნაწერში დასახელებული არ არის. ერთადერთ ცნობას, რომელშიც განსახილველი ტექსტის ავტორად სოფრონიოს იერუსალიმელია მითითებული, იძლევა ენრიკო გაბიძაშვილი (487, N1807). ეს ცნობა, სავარაუდოდ, მასზე დაყრდნობით, მეორდება 6. მელიქიშვილთანაც (477, N3).

ჰომილიის პირველი სიტყვები, საკმაოდ ზოგადი, უახლოვდება სოფრონიოსის ავთენტური (Taousa,nhj XVIII, 15) თხზულების, წმ. კიროსის და ოთანეს სასწაულების (Dih,ghsij qauma,twn tw/n a`gi,wn Ku,rou kai. VIwa,nnou, CPGr 7646) დასაწყისს: Di,kaion oi=mai th/j tw/n qauma,twn avrco,menoj dihgh,sewj (Fernández Marcos 243), თუმცა, ნაშრომის დანარჩენ ნაწილთან ქართულ თარგმანს არაფერი აქვს საერთო.

14. ამის შესახებ აღნიშნულია A 220-ის აღწერილობაშიც: „საერთოდ მთელი ხელნაწერი ნაწერია შესამჩნევი შეცდომებით. მწერალი არ იცავს ერთგვარობას ქარაგმების დასმაში, ხშირად ქარაგმის ნიშნის გარეშე წერს სიტყვებს. ერთსა და იმავე სიტყვებს წერს სხვადასხვანაირად“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 27, N2).

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

სოფრონიოსს დაწერილი აქვს განსახილველი თარგმანის მსგავსი სახელწოდების მქონე ქადაგება (Oratio II), სიტყუად ხარებისათვს ყოვლადწმიდისა უხრწწელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა (H 2258, XII-XIII სს., 156v-176v)¹⁵, რომელიც ისევე, როგორც მოცემული ჰომილია, იკითხება „მარტსა კე“ (K 2, XVI ს., 288r) (ქუთაისის 13, N26). მასში იძებნება რამდენიმე მონაკვეთი, რომელიც ამჟღავნებს მსგავსებას განსახილველ თარგმანთან, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგან ორივე მათგანი ერთი და იმავე საკითხის შესახებ არის დაწერილი. ასეთი მონაკვეთებია:

Oratio II	სიტყუად ხარებისათვს II
<p>რომელი-იგი ყოველთა სადმე დაბადებულთა ზედა უფლებს ვითარცა დამბადებელი, ხოლო შენ შორის მუცლითა იტკრთვის და საშოსა შინა გამოუთარგმანებელად მუცლად იღებვის; უფალი შენ თანა, რომელი უწინარეს ყოველთა უამთა მამისაგან იშვა და მის თანა სამარადისოდ იხილვებოდა, ხოლო აწ შენ თანა მუცლადღებითა მოიწევის და შენგან ჰყოფს საშინელსა პორციშესხმასა (თ. 19; H 2258, 163v)</p>	<p>რომელი პირველ ყოველთა საუკუნეთა მამისაგან უდედოდ ცათა შინა გამოუთარგმანებლად იშვა, ხოლო აწ საშინელად ქუეყანასა ზედა უმამოდ ქალწულისა მარიამისა განკურციელდების ორკეცი ბუნებითა (A 220, 522r)</p>
<p>„აპა, შენ მუცლად იღო საშოსა და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“ (თ. 28; H 2258, 166v)</p>	<p>„რამეთუ აპა, მუცლად იღო და შუშ ძე, და უწოდა სახელი მისი იესუ“ (A 220, 523r)</p>

15. ჰომილის ქართული ტექსტი მოგვაწოდა გიორგი ბერიშვილმა.

<p>გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა! და რამცა იყო ამის სიხარულისა უზენაესი. შეალწულო და დედაო? ანუ რა ენაცვალოს მადლსა ამას, რომელი შენ მხოლოსა ღმრთისა მიერ წილ გხუდა უსახარულევანესად და უბრწყინვალესად?! ნამდვლვე კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, რამეთუ ევას წყევად კურთხევად შესცვალე, რამეთუ ადამ პირველ წყევასა ქუეშე მყოფი შენ მიერ კურთხევად მოჰმზადე. ნამდვლვე კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, რამეთუ კურთხევად მამისად შენ მიერ კაცთა აღმოუბრწყინდა და ძუელისა მის წყევისაგან განათავისუფლნა იგინი. ნამდვლვე კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, რამეთუ ნაყოფი უთესლოდ აღმოაცენე, მომანიჭებელი ყოვლისა ქუეყანისა კურთხევისად (თთ. 21-22; H 2258, 164r).</p>	<p>გიხაროდენ, სახარულევანო, უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა. რამეთუ შენ მიერ წყევა პირველისა დედისა განქარდა, რამეთუ დედაკაცისა მიერ ბოროტნი მწუხარებანი, ხოლო შენ მიერ აღმოცენებინ უმჯობესნი (A 220, 522v-523r)</p>
---	--

განსახილველი ტექსტი სტილისტურად ჰგავს Oratio II-ს. ორივე მათგანში გვხვდება რიტმული პროზისათვის¹⁶ დამახასიათებელი გამეორებები. მაგალითად, Oratio II-ში 12-12-ჯერ მეორდება „გიხაროდენ, შენ“ (თ. 18; H 2258, 163r) და „ჰპოვე მადლი“ (თთ. 25, 28; H 2258, 165v, 166v), 5-ჯერ – „უფალი შენ თანა“ (თ. 19; H 2258, 163v), და ა.შ. მსგავსი გამეორებისათვის განსახილველ თარგმანში გვხვდება მხოლოდ „დღეს“, რომელიც ამ მცირე ზომის ტექსტში 11-ჯერ დასტურდება (9-ჯერ წინადადების დასაწყისში, 2-ჯერ, როგორც წინადადების მეორე სიტყვა). „დღეს“ Oratio II-ში წარმოდგენილია ექსჯერ, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი შემთხვევა შეიძლება

16. სოფრონიოსის პომილიებში უხვად არის გამოყენებული რიტორიკული ფორმები და რიტმული პროზა, სადაც წინადადება, ფრაზა, პერიოდი თუ ნახევარ-პერიოდი მთავრდება ორმაგი დაქტილით, რომელთა არსებობა ტექსტებში, როგორც სოფრონიოსის ნაშრომთა ავთენტურობის კრიტერიუმისა, აადვილებს სოფრონიოსისადმი მათი კუთვნილების დადგენას (Taousa,nhj 14, 40-56; Schönborn 102-103).

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

ჩაითვალოს საყურადღებოდ: „რამეთუ დღეს იშვებოდის კორციელითა შობითა და ხვალე მოკუდებოდის კორციელითა სიკუდილითა. დღეს იხილვებინ ცხოველთა შორის და ხვალე აღირიცხუვინ მკუდართა შორის“ (თ. 12, H 2258, 160v). მსგავსი შინაარსის სტრიქონები კი Oratio II-ში არ დასტურდება.

მთლიანობაში, გარკვეული მსგავსების მიუხედავად, განსახილველი ჰომილია იმდენად სხვაობს Oratio II-სგან, რომ წარმოადგენს სოფრონიოსის ამ ჰომილის მეტად გადამუშავებულ მეტაფრასს ან უბრალოდ სხვა ავტორის ნაშრომს, რადგან სოფრონიოსის თხზულებებს შორის მსგავსი შინაარსის ტექსტი არ იძებნება.

ყველაზე მეტად სოფრონიოსის ჰომილიათა ქართულ ენაზე გადმოღებისათვის უდვაწია ეფრემ მცირეს. მას უთარგმნია ცხრა ქადაგება (III, VII, IX, XI, XII და ოთხი უდედნო ქართული თარგმანი) (Peradze 190-191; Tarchnišvili 194-195; კეკელიძე 110-111; მეტრეველი 123-125; გაბიძაშვილი 243, (N780), 174 (N482), 169 (N462), 291 (N992), 126-127 (N278), 294 (N1002), გვ. 385-386 (NN1378, 1379), 65-66 (N22)). II ჰომილის მთარგმნელია გიორგი მთაწმინდელი (Tarchnišvili 169, მელიქიშვილი 477, N8, შენ. 476), ზოგი ვარიანტით – ეფრემ მცირე (გაბიძაშვილი 489, N1816), დაუბუსტებელია ჰომილის, შესხმად აიაზმისად, მთარგმნელის ვინაობა. მთლიანობაში კი ქართულ ენაზე სოფრონიოსის 11 ჰომილია ნათარგმნი. ხოლო ვინაიდან იტალიურად სოფრონიოსის 8 ქადაგებაა გადმოღებული, ფრანგულსა და რუსულზე – 7-7, ხოლო გერმანულზე – 1, სრულიად სამართლიანად შეიძლება გავიმეოროთ, რომ სოფრონიოსის ჰომილიათაგან „სხვა ქრისტიანულ ენებზე თარგმნილ თხზულებათა შორის ყველაზე მეტი ქართული თარგმანებია“ (მარგიანი, გრიგოლ ნაზიანზელის 82).

ბიბლიოგრაფია

ბერიშვილი, გიორგი, „წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ნათლისდების ჰომილიათა ქართული თარგმანები“, რედ. ფილ. მეცნ. დოქტ. მაია რაფაელ, რეცენზენტი ფილ. მეცნ. დოქტ. ნინო მელიქიშვილი, in გრავნილი, თბილისის სასულიერო აკადემიის სასულიერო-სამეცნიერო კრებული 2, 2014, გვ. 7-97. მარგიანი, თამარ, გრიგოლ ნაზიანზელის „ცხოვრების“ და „შესხმის“ ძველი ქართული თარგმანები (გრიგოლ ხუცესისა და სოფრონ იერუსალიმელის თხზულებების მიხედვით), სადოქტორო დისერტაცია, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2006. მარგიანი, თამარ, „სოფრონ იერუსალიმელის სიტყუად შესხმისად წმიდისათვს და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელის ქართული თარგმანი“, in ფილოლოგიური ძიებანი II, თბილისი, 1995, გვ. 131-143.

კეპელიძე, კორნელი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.

მეტრეველი, ელენე, „ეფრემ მცირის ავტოგრაფი“, in საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე I, თბილისი, 1959, გვ. 115-125.

ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, ტ. IV, „ნათლისლების ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები“, ნაწილი I, თბილისი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, 2020.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I/3, შეადგინეს და დასახეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარაძე, ლ. ქუთათელაძემ, რედ. ელენე მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, მეცნიერება, 1980.

შეუთასის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია და დასახეჭდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშავის ე. ნიკოლაძის მიერ, რედ. პროფ. კორნელი კეკელიძე, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953.

ჯანჯდავა, გიორგი, „წმინდა სოფრონ იერუსალიმელი, სიტყუად მიგებებისათვე უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა“, ხელმძღვანელი ფილ. მეცნ. დოქტ. ნინო მელიქიშვილი, ვრაგნილი 6, 2018, გვ. 205-262.

Andres, Gregorio de, *Catalogo de los Codices Griegos de la Biblioteca Nacional*, Madrid, Ministerio de Cultura, 1986.

Clavis Patrum Graecorum, Ed. Mauritius Geerard, Brepols-Turnhaut, Fabrieken Brepols, 1979.

Combefis, Franciscus, *Graecolatinorum Patrum Bibliotheca Novum Auctarium*, t. I, Parisiis, 1648.

Fernández Marcos, Natalio, *Los "Thaumata" de Sofronio*, Contribución al Estudio de la "Incubatio Cristiana", Manuales y Anejos de Emerita 31, Instituto "Antonio de Nebrija", Madrid, 1975.

Gebhardt, Oscar von, *Hieronymus de viris inlustribus in griechischer Übersetzung (Der sogenannte Sophronius)*, TU 14, Ib, Leipzig, 1896.

Hunger, Herbert; Lackner, Wolfgang; Hannick, Christian, *Katalog der griechischen Handschriften der Österreichischen Nationalbibliothek*, Teil 3/3, "Codices theologici 201-337", Museion, Veröffentlichungen der Österreichischen Nationalbibliothek, NF 4, 3, Wien, In Kommission bei Verlag Brüder Hollinek, 1992.

Lambros, Spyros P., *Catalogue of the Greek manuscripts on Mount Athos*, t. 2, Cambridge, At the University Press, 1900.

Mhnai/a tou/ o[lou evniautou/... tw/n Vianouari,ou kai. Febrouri,ou mhnw/n, t. III, Rome, 1896.

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

- Millius, Joannes, *Novum Testamentum Graecum cum lectionibus variantibus*, Amstelodamum, 1710.
- Mingarelli, Giovanni Luigi, *Graeci Codices Manu Scripti apud Nanios Patricios Venetos Asservati*, Bononia, 1784.
- Mošin, Vladimir, "Les Manuscrits du Musée National d'Ochrida", in *Musée National d'Ohrid, Recueil de travaux*, Ohrid, 1961, p. 163-243.
- Nissen, Theodor, "Sophronios-Studien II", in *Byzantinische Zeitschrift* 39, 1939, p. 89-115.
- Peradze, Gregor, "Die alt-christliche Literatur in der georgischen Überlieferung (Fortsetzung und Schluss)", in *Oriens Christianus*, ser. 3, vol. 8, 1933, s. 190-191.
- Papado,pouloj-Kerameu,j, VAqana,sioj, VAna,lekta VIerosolumitikh/j Stacuologi,aj, Tom. E, VEn Petroupolei, 1898.
- Qei/on kai. 'Iero.n Euvagge,lion evx avri,stwn evkdo,sewn, VEn Bene,tia],* 1840.
- Richard, Marcel, "Quelques nouveaux fragments des Pères Anténicéens et Nicéens", *Symbolae Osloenses* 38, 1963, p. 76-83; repr. Richard, Marcel, *Opera minora*, t. 1, Tournhout, Brepols, 1976.
- Richard, Marcel, Hemmerdinger, Bertrand, "Trois Nouveaux fragments grecs de l'*Adversus Haereses* de sainte Irénée", *Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft* 53, 1962, p. 252-255.
- Schönborn, Christoph von, «Sophrone de Jérusalem, Vie monastique et confession dogmatique», in *Théologie Historique* 20, Paris, Beauchesne, 1972.
- Soden, Hermann von, *Die Schriften des Neuen Testaments in ihrer ältesten erreichbaren Textgestalt*, t. 1, Berlin, 1902.
- Sophrone de Jérusalem, *Fêtes chrétiennes à Jérusalem*, Introduction et traduction de Jeanne de la Ferrière, annotation et guide thématique par M.-H. Congourdeau, Paris, Migne, 1999.
- Sofronio di Gerusalemme, *Le Omelie*, Introduzione, traduzione e note a cura di Antonino Gallico, Collana di Testi Patristici, Roma, Città nuova editrice, 1991.
- Swthrou,dhj, Panagiw,thj, Kata,logoj e'lhnikw/n ceirogra,fwn, ~Iera. Monh. VIbh,rwn, t. I (1-100), {Agion: Oroj, 1998.
- Taousa,nhj, Iwa,nnhj D), *To omilhtiko, e,rgo tou Swfroni,ou Ierosolu,mwn stij despotike,j kai qeomhtrike,j eorte,j Eisagwgh,-Kritikh, e,kdosh, Didaktorikh, Diatribh,, Qessaloni,kh*, 2009.
- Tarchnišvili, Michael, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, Studi e Testi 185, Città del Vaticano, Biblioteca Apostolica Vaticana, 1955.
- Usener, Hermann, *Sophronii de Praesentatione Domini sermo*, Universitätsprogramm von Bonn, Aug., 1889, p. 8-18.
- Usener, Hermann, „Weihnachtspredigt des Sophronios”, *Rheinisches Museum NF* 41, 1886, p. 501-516.